პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 33 (230) 2 დეკემბერი 1963 წელი

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

503. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სადენიანი ტელეფონური კავშირგაბმულობის დამყარებისა და არსებული რადიოტელეგრაფის სამსახურის შესახებ.

504. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან კ. ვ. რუსაკოვის გათავისუფლების შესახებ.

505. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლ. ნ. სოლოვიოვის დანიშვნის შესახებ.

506. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ე. ალექსეევსკის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

507. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. ა. ლებედევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

508. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. სობოლევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

509. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ი. ი. მეშჩანინოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

510. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. კოვალის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

511. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. ტალაკანოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

512. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რეგ. ნ. იუდლოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ ... ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

განყოფილება პირველი

513. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
514. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 242[1] მუხლი.
515. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126 მუხლის დამატების შესახებ.

განყოფილება მეორე

516. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ა. ი. ხაჩატურიანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
517. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იუსტიციის პოდპოლკოვნიკ ამხ. თ. გ. მეზურნიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
518. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ჯიმშელეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
519. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. შ. ბაგალიშვილის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
520. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ნ. მედოევის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
ცნობა მ. მ. ლელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის შესახებ.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

შეთანხმება

503 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სადენიანი ტელეფონური კავშირგაბმულობის დამყარებისა და არსებული რადიოტელეგრაფის სამსახურის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ, ერთი მხრივ, და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ, მეორე მხრივ, რომლებიც ხელმძღვანელობენ სურვილით დაამყარონ სადენიანი ტელეფონური კავშირგაბმულობა და მოაწესრიგონ არსებული რადიოტელეგრაფული ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და დანიშნეს ამ მიზნით თავ-თავიანთ რწმუნებულებად:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ — ნ. ს. რიჟოვი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში;

თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ — ჯახით ს. ხაითა, სრულუფლებიანი მინისტრი, თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში.

ქვემოთ ხელისმომწერი რწმუნებულნი, თავ-თავიანთ რწმუნებათა ურთიერთწარდგენის შემდეგ, რომლებიც ჯეროვნად გაფორმებული და სათანადო წესრიგში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ შემდეგზე:

საერთო დებულებანი

მუხლი 1

სატელეფონო სამსახური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არსებული პირდაპირი სატელეფონო არხებით: მოსკოვი — სოფია, სოფია — სტამბოლი და მოსკოვი — ბუქარესტი, ბუქარესტი — სტამბოლი.

მომავალში სადენიანი ტელეფონის პირდაპირი ხაზის დაშყარება მოსკოვსა და ანკარას შორის ლენინაკან-ყარსის გაელით შეიძლება იყოს ორი მთავრობის შესწავლის საგანი.

მუხლი 2

შეთანხმების დამდები მხარეები უზრუნველყოფენ კავშირგაბმულობის საშუალებების და ტექნიკური მოწყობილობის კარგ მუშაობას თავ-თავიანთ ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკ

მუხლი 3

შეთანხმების დამდებ მხარეთა კავშირგაბმულობის დაინტერესებულ ადმინისტრაციებს, თუ საჭირო იქნა, მიწერ-მოწერის გზით შეუძლიათ შეთანხმდნენ ტელეფონური და რადიოტელეგრაფული კავშირგაბმულობის ექსპლუატაციისა და გაუმჯობესების შესახებ.

სატელეგრაფო სამსახური

მუხლი 4

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებულ რადიოტელეგრაფულ გაცვლა-გამოცვლაში დაშვებულია შემდეგი კატეგორიის დეპეშები:

მთავრობის დეპეშები, ჩვეულებრივი და სასწრაფო კერძო დეპეშები, პრესის ჩვეულებრივი და სასწრაფო დეპეშები, დეპეშები გადახდილი პასუხით, გამგზავნის თხოვნით სხვაგან გასაგზავნი დეპეშები, რამდენიმემისამართიანი დეპეშები, მეტეოროლოგიური დეპეშები, დეპეშა-წერილები, სამსახურებრივი დეპეშები, სამსახურებრივი შეტყობინებანი.

საბოლოო ტელეგრაფულ გაცვლა-გამოცვლაში გამოყენებული იქნება რუსული, თურქული, ფრანგული და ინგლისური ენები.

შეთანხმების დამდებ მხარეთა კავშირგაბმულობის დაინტერესებულ ადმინისტრაციებს შეუძლიათ მორიგდნენ ჩამოთვლილს გარდა სხვა ენების გამოყენების შესახებ.

დეპეშები ღია ენაზე შედგენილი უნდა იყოს ლათინური შრიფტით. შიფრის და კოდის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მთავრობის დეპეშებში.

მუხლი 5

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ტელეგრაფულ გაცვლა-გამოცვლაში გადაცემული ჩვეულებრივი კერძო დეპეშის ერთი სიტყვისათვის დაწესებულია საბოლოო ტაქსა შემდეგი ოდენობით:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბოლოო ტაქსა — 0,32 ოქროს ფრანკი,

თურქეთის რესპუბლიკის საბოლოო ტაქსა — 0,18 ოქროს ფრანკი.

პრესის დეპეშებისათვის საბოლოო ტაქსა ისარგებლებს 50 პროცენტის შეღავათით ჩვეულებრივ კერძო დეპეშებთან შედარებით.

სატელეფონო სამსახური

მუხლი 6

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სატელეფონო სამსახურში დაშვებულია შემდეგი კატეგორიის ლაპარაკი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკი უბედურებათა შესახებ, მთავრობის ჩვეულებრივი და სასწრაფო ლაპარაკი, ჩვეულებრივი და სასწრაფო კერძო ლაპარაკი, ლაპარაკი გაფრთხილებით, ცნობების მოთხოვნა და სამსახურებრივი ლაპარაკი.

მუხლი 7

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ქალაქებსა და თურქეთის რესპუბლიკის ქალაქებს შორის 3 წუთის ხანგრძლივობის ჩვეულებრივი სატელეფონო ლაპარაკისათვის ტარიფის ერთეულად წესდება ტაქსა 12,30 ოქროს ფრანკი.

ეს ტაქსა შეთანხმების დამდებ მხარეებსა და სატრანზიტო ქვეყნებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად:

სსრ კავშირი	— 4,20 ოქროს ფრანკი.
თურქეთი	— 3,00 ოქროს ფრანკი.
ბულგარეთი	— 2,40 ოქროს ფრანკი.
რუმინეთი	2,70 ოქროს ფრანკი.

დასკვნითი დებულებები

მუხლი 8

შეთანხმების დამდებ მხარეთა კავშირგაბმულობის დაინტერესებულ ადმინისტრაციებს მიწერ-მოწერის გზით შეუძლიათ მორიგდნენ საჭირო ცვლილებათა შესახებ კავშირგაბმულობის არსებულ საშუალებებში იმ პროგრესის გათვალისწინებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ელექტროკავშირგაბმულობის დარგში.

მუხლი 9

შეთანხმების დამდებ მხარეთა კავშირგაბმულობის დაინტერესებულ ადმინისტრაციებს შორის მიწერ-მოწერა წარმოებს ფრანგულ ენაზე.

მუხლი 10

შეთანხმებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში გამოყენებული იქნება ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კონვენციისა და მისი დანართი სატელეგრაფო და სატელეფონო რეგლამენტების დადგენილებანი.

მუხლი 11

ეს შეთანხმება ძალაში შედის შეთანხმების დამდებ მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ მისი ხელმოწერისა და რატიფიკაციის შემდეგ სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება მოსკოვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 12

შეთანხმების დამდებ თვითეულ მხარეს შეუძლია დიპლომატიური გზით დენონსირება გაუკეთოს ამ შეთანხმებას წერილობითი შეტყობინების საშუალებით.

შეთანხმება ძალას კარგავს ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ ამ შეტყობინების ჩაბარების დღიდან.

მუხლი 13

ეს შეთანხმება შედგენილია ორ ცალად, თვითეული რუსულ, თურქულ და ფრანგულ ენებზე.

თუ რუსულ და თურქულ ენებზე შედგენილ ტექსტებში განსხვავება იქნა, მოქმედად ჩაითვლება ფრანგულ ენაზე შედგენილი ტექსტი.

რის დასადასტურებლადაც ზემოხსენებულმა რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას და თავ-თავიანთი ბეჭდები დაუსვეს მას.

დადებულია ანკარაში ათას ცხრაას სამოცდაორი წლის ცხრა ივნისს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით	**თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით**
ნ. რიჟოვი.	**ჯ. ხაითა.**

* *
*

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 10 სექტემბერს; თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1963 წლის 18 სექტემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1963 წლის 28 ოქტომბერს.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

504 ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ Კ. Ვ. ᲠᲣᲡᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გათავისუფლდეს კონსტანტინე ვიქტორის ძე რუსაკოვი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 18 ნოემბერი.

№ 1871-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

505 მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლ. ნ. სოლოვიოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ლეონიდე ნიკოლოზის ძე **სოლოვიოვი** მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 18 ნოემბერი.
№ 1872-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

506 ამხ. ე. ე. ალექსეევსკის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედებისა და წყლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ევგენი ევგენის ძე **ალექსეევსკი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 20 ნოემბერი.
№ 1874-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

507 აკადემიკოს ა. ა. ლებედევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკის დარგში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ალექსანდრე ალექსის ძე **ლებედევი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 26 ნოემბერი.
№ 1908-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

508 ამხ. ა. ა. სოგოლევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამხ. არკადი ალექსის ძე **სობოლევი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 26 ნოემბერი.
№ 1909-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

509 აკადემიკოს ი. ი. მეშჩანინოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ენათმეცნიერების დარგში დამსახურებისათვის და სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის დაბადების ოთხმოცწელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ივანე ივანეს ძე **მეშჩანინოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 27 ნოემბერი.
№ 1911-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

510 ამხ. ი. გ. კოვალის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ტაჯიკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ივანე გრიგოლის ძე **კოვალი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 27 ნოემბერი.
№ 1912-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

511 ამხ. ნ. ი. ტარაკანოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. ნიკოლოზ იაკობის ძე **ტარაკანოვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 27 ნოემბერი.
№ 1913-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

512 ამხ. მ. ნ. სულოევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საგარეო ეკონომიურ კავშირურთიერთობათა განვითარების საქმეში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე **სულოევი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 27 ნოემბერი.
№ 1914-VI.

განყოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

უკრაინის სსრ

ზოგიერთი ქალაქის კატეგორიისა და ადმინისტრაციული დაქვემდებარების შეცვლა

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულებით ხმელნიცკის ოლქში მოხდა შემდეგი ცვლილებები:

ა) ქალაქი შეპეტოვკა განეკუთვნა საოლქო დაქვემდებარების ქალაქებს და გადაეცა ხმელნიცკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამრეწველო) საბჭოს გამგებლობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ქალაქი სლავუტა განეკუთვნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და გადაეცა შეპეტოვკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გამგებლობაში.

ვერხოვინსკის სამრეწველო რაიონის გაუქმება და დოლინას სამრეწველო რაიონის შექმნა

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა ივანე ფრანკოს საოლქო ორგანიზაციების თხოვნა და 1963 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით გააუქმა ვერხოვინსკის სამრეწველო რაიონი, გადასცა მისი ტერიტორია კოსოვოს რაიონს და შექმნა **დოლინას** სამრეწველო რაიონი ცენტრით ქალაქ **დოლინაში.**

ნაწილი II

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

513 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1963 წლის 24 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 27 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

514 იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 242[1] მუხლი

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებულებისა „მატარებლის თვითნებური გაჩერებისათვის, როცა ეს საჭირო არ არის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეათე თავს „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ“ დაემატოს 242[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა

„მუხლი 242[1]. **მატარებლის თვითნებური გაჩერება, როცა ეს საჭირო არ არის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებლის თვითნებური გაჩერება, როცა ეს საჭირო არ არის, საჩერი ონკანით, საჰაერო სამუხრუჭო მაგისტრალის გათიშვის გზით ან სხვა საშუალებით, თუ ამან მატარებლის ნორმალური მოძრაობის დარღვევა გამოიწვია,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი მუშაობით ვადით ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა, თუ ამან გამოიწვია ადამიანებისათვის უბედური შემთხვევა, მატარებლის მარცხი, მოძრავი შემადგენლობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვა წლამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 28 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

515 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126 მუხლის დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126 მუხლს მეხუთე აბზაცის ბოლოს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„თუ კი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების გატაცების თაობაზე საქმის გამოძიების პროცესში (მუხლი 94) დადგინდება გატაცებასთან დაკავშირებული დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186, 188 და 191 მუხლებით, მაშინ ამ დანაშაულს გამოიძიებს ის ორგანო, რომლის წარმოებაშიც იმყოფება საქმე გატაცების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 28 ნოემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

516 კომპოზიტორ ა. ი. ხაჩატურიანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მუსიკის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კომპოზიტორ არამ ილიას ძე **ხაჩატურიანს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 26 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

517 იუსტიციის პოდპოლკოვნიკ ამხ. თ. ბ. მეზურნიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით იუსტიციის პოდპოლკოვნიკი ამხ. თენგიზ გიორგის ძე **მეზურნიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 27 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

518 ამხ. ბ. ა. ჯიმშელეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჰიდროენერგეტიკის განვითარების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი ამხ. გალაქტიონ ათანასეს ძე **ჯიმშელეიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 27 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

519 ამხ. ტ. შ. ბაგალიშვილის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით **ბაგალიშვილი** ტელმანი შაქირის ძე, ბათუმის გემთსაშენი ქარხნის ყოფილი შემდუღებელი, დაჯილდოვდეს სიკვდილშემდგომ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 28 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

520 **ამხ. ს. ნ. მედოევის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით **მედოევი** სოფრონ ნიკოლოზის ძე, „ცხინვალვაჭრობის“ მუშა, დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 28 ნოემბერი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების თავმჯდომარეების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის, გაზეთ „სახალხო განათლების“ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირ-სემინარზე მოისმინეს მოხსენებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარის ამხ. თ. ლაშქარაშვილისა — არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ამოცანების შესახებ, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილის ამხ. ვ. შადურისა — არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიების, მილიციის განყოფილებებთან არსებული ბავშვთა ოთახებისა და ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებლების მუშაობის შესახებ და საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის ამხ. გ. ბიწაძისა — არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის მდგომარეობის შესახებ პროკურატურის და სასამართლოს ორგანოებში.

მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. ფავლენიშვილმა (ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონიდან), ამხ. გ. წულუკიძემ (აჭარის ასსრ განათლების მინისტრი) და სხვებმა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ზ. ა. კვაჭაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომა.

სხდომაზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ქ. ჭანჭალეიშვილის მოხსენება ქალაქ ზესტაფონსა და ზესტაფონის საწარმოო

სამმართველოში შემავალ სოფლებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ო. დვალმა, „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ე. გოგუამ, ზესტაფონის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის საყოფაცხოვრებო კომბინატის დირექტორმა ამხ. კ. მაჭავარიანმა და სხვებმა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ქალაქ ზესტაფონისა და ზესტაფონის საწარმოო სამმართველოში შემავალი სოფლების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებები.

კომისიამ მიიღო დადგენილება საკითხი შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

* * *

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა.

სხდომაზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ხომიზურაშვილის მოხსენება ზესტაფონის, სიღნაღისა და გუდაუთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ბ. გიგიბერიამ, ს. დურმიშიძემ, ო. აბესაძემ.

სხდომაზე აღნიშნეს ზესტაფონის, სიღნაღისა და გუდაუთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა იმ მხრივ, რომ ამ სამმართველოებში შემავალი კოლმეურნეობები არ იცავენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას. მოყვანილი იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის კონკრეტული მაგალითები.

კომისიამ მიიღო დადგენილება, რომ საკითხი განსახილველად შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად მ. მ. ლელაშვილის არჩევის შესახებ

1963 წლის 24 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები გურჯაანის რაიონის ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად გურჯაანის რაიონის ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქისაგან არჩეულია მიხეილ მიხეილის ძე **ლელაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 28 ნოემბრის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 402 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. ჭიათურიდან	. . . . .	9
ამბროლაურის	რაიონიდან	10
გორის	„	83
ზუგდიდის	„	75
მესტიის	„	12
მაიაკოვსკის	„	28
საჩხერის	„	105
ყვარლის	„	80